ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №41

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 4 აპრილი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები და
შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1.ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ შპს „პონტო კოლხი", მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება")

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 **ობიექტის დასახელება** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) ადმინისტრაციული შენობის მომსახურების (დასუფთავების ჩათვლით) შესყიდვა (იხ. დანართი №1).
2.2 **შესყიდვის საშუალება** - გამარტივებული შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 98300000-სხვადასხვა მომსახურება.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 98341130 - შენობა-ნაგებობების მომსახურება (დასუფთავების ჩათვლით).

3. ხელშეკრულების ღირებულება ოთხი ათას

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1770 (ერთი ათას შვიდასსამოცდაათი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები განისაზღვრება 2016 წლის 4 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ/ფაქტურა და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს

შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	შპს „პონტო კოლხი"
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12	მის: ქ. ფოთი, მაკალათიას ქ. N15 სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი
ს/კ № 215138143	ა/ა GE54BG0000000292546600 ბ/კ №BAGAGE22 ს/კ №415087006
----------	----------
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია	დირექტორი ზურაბ ხორავა

დაბნართი 1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) ადმინისტრაციული შენობის მომსახურების (დასუფთავების ჩათვლით) შესყიდვა

მომსახურების დასახელება	დასასუფთავებელი ტერიტორია	ფართობი კვმ	მომსახურების ღირებულება	მომსახურების მოწოდების ადგილი და ვადები
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) ადმინისტრაციული შენობის მომსახურება (დასუფთავების ჩათვლით)	შენობა	2173	1770	ქალაქი ფოთი 2016 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის 18 აპრილის ჩათვლით

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

,,მიმწოდებელი''

შპს ,,პონტო კოლხი"

დირექტორი
ზურაბ ხორავა

დამოწმებულია
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური

ნანა გიგნეიშვილი

დეფექტური აქტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) ადმინისტრაციული შენობის მომსახურების (დასუფთავების ჩათვლით) ღირებულება 2016 წლის 4 აპრილიდან 2016 წლის 18 აპრილის ჩათვლით შეადგენს 1770 (ერთიათასშვიდასსამოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე.

N	გაწეული მომსახურეობის და მასალების დასახელება	განზო მილება	რაო დენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	თხევადი საპონი	ლიტრი	4	3,75	15
2	კარის საკეტი (კომპლექტი)	ცალი	1	30	30
3	კარის საკეტის „გული“	ცალი	1	10	10
4	კარის საკეტი (მდფ)	ცალი	1	20	20
5	ამსტრონგის ნათურა	ცალი	5	1,4	7
6	ხელსახოცი ქაღალდი (რულონი)	ცალი	18	6	108
7	საპირფარეშოს ქაღალდი (დიდი)	ცალი	32	2,5	80
8	ხელფასი				1500
	სულ ჯამი:				1770 ლარი

შეადგინა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
შესყიდვებისა და საბუღალტრო სამსახური

სამსახურის უფროსი----------
ნანა გიგნეიშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080137653506716

 # 1180 **08** / აპრილი / **2016** წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2016 წლის 4 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის SMP160001073 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები) ადმინისტრაციული შენობებისათვის მომსახურების (დასუფთავების ჩათვლით) შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნული შესყიდვის განხორციელების საჭიროება გამოიწვია არსებული მიმწოდებლის (SPA150033136 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი) მხრიდან, 2016 წლის 4 იანვარს დადებული №1 ხელშეკრულების შეწყვეტამ. კერძოდ, 2016 წლის 7 მარტს, მიმწოდებელმა ორგანიზაციამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს აცნობა, რომ, გარკვეული მიზეზების გამო ცალმხრივად წყვეტდა ხელშეკრულებას. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდებოდა მარტის თვის ბოლომდე. ვინაიდან, 2016 წლის 4 აპრილს შეწყდა, 2016 წლის 4 იანვარს გაფორმებული №1 ხელშეკრულების მოქმედება, აღნიშნული მომსახურების მისაღებად აუცილებელი გახდა ახალი შესყიდვის (2016 წლის 4 აპრილის № 41 ხელშეკრულება) დაუყოვნებლივ განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობები დარჩებოდა დაუსუფთავებელი.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებობდა დიდი ალბათობა იმისა, რომ მიმწოდებელს გაეგრძელებინა სახელშეკრულებო ურთიერთობა და აღებული ვალდებულება შესრულებინა 2016 წლის 31 დეკემრის ჩათვლით. ვინაიდან, 2016 წლის 4 აპრილს მაინც მოხდა აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2016 წლის 6 აპრილს გამოცხადდა ახალი SPA160010893 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, მიმწოდებელმა ორგანიზაციამ შეწყვიტა, 2016 წლის 4 იანვარს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან დადებული № 1 ხელშეკრულება. მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ 2016 წლის 4 იანვარს გამოფერმული № 1 ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდებოდა 2016 წლის მარტის ბოლომდე. აღნიშნული ხელშეკრულება შეწყდა 2016 წლის 4 აპრილს. შედეგად, აღნიშნული მომსახურების მისაღებად, აუცილებელია გახდა შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელება (2016 წლის 4 აპრილის № 41 ხელშეკრულება), რაც მაშინვე ეცნობა სააგენტოს, ხოლო 2016 წლის 6 აპრილს გამოცხადდა ახალი SPA160010893 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შესყიდვა განხორციელდა კანონისა და ზემოხსენებული ბრძანების მოთხოვნათა დაცვით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე